



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N7

ქ. მარნეული

04.04.2016 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ბიუროს წევრები:** - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი, ლერი მუმლაძე, აზიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი.

**არ ესწრებოდა:** - ნიკოლოზ გოგოჭური, გიორგი შუკაკიძე.

**სხდომას ესწრებოდა:** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ სხირტლადისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 მარტის N03/1235 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 მარტის N03/2022 წერილის განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 მარტის N03/2023 წერილის განხილვის შესახებ.
7. შ.პ.ს. დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის 2016 წლის 28 მარტის N4-181 წერილის განხილვის შესახებ.
8. ქალაქ მარნეულში, აღმაშენებლის ქ. N44 -ში მცხოვრები მოქალაქე მარინა იაკობაშვილის განცხადების განხილვის შესახებ.
9. ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N59ბ საცხოვრებელი კორპუსის ამხანაგობა „მზე“-ს განცხადების განხილვის შესახებ.

10. ქალაქ მარნეულში, ნარიმანოვის ქუჩა N1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის განცხადების განხილვის შესახებ.
11. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის N3“ -ზე მისაკუთვნიებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების დადგენის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 26 თებერვლის N03/1113 წერილის განხილვის შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 23 თებერვლის N03/1001 წერილის განხილვის შესახებ.
14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 მარტის N03/1221 წერილის განხილვის შესახებ.
15. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 7 მარტის N627-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
16. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N226-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
17. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 მარტის N702-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
18. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 მარტის N703-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა ბიუროს წევრებს გააცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 თებერვლის განაჩენი, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს კანონის 43-ე მუხლის საფუძველზე უნდა შეუწყდეს სადეკუტატო უფლებამოსილება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს წარუდგინა 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მან მუხლობრივად განმარტა ბიუჯეტის შესრულება, როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯვით ნაწილში. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასებულია დადებითად. რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 2 მარტის N03/1235 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 30 მარტის N03/2022 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“-სათვის 45 ათასი ლარის გადარიცხვის შესახებ. ბიუროს წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ მოწვეული იქნეს სააგენტოს ხელმძღვანელობა და მოხდეს განმარტება, თუ რაში იხარჯება ყოველწლიურად მათზე მუნიციპალიტეტიდან გადარიცხული თანხები. ბიუროს წევრების შეკითხვებზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა განმარტა, რომ აღნიშნულ სააგენტოს სელშეწყობით მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა. მანვე საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობმა უკვე მოაწერა ხელი მუნიციპალიტეტსა და ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას და ითხოვა მოხდეს საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 30 მარტის N03/2023 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შაუმიანის სათემო განათლების ცენტრისათვის 8 ათასი ლარის გადარიცხვის შესახებ. ბიუროს წევრებმა ითხოვეს საკრებულოს სხდომას დაესწროს სათემო განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც გააკეთებს ინფორმაციას აღნიშნული თანხის ხარჯვის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე მოხდეს ცენტრის დირექტორის დასწრებისა და განმარტების შემთხვევაში, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო შ.პ.ს. „დემირელი“-ს სახელობის კერძო კოლეჯის 2016 წლის 28 მარტის N4-181 წერილი და მოქალაქე ლეილა მამედოვას განცხადება ერთჯერადად 850 ლარის გადარიცხვის შესახებ, ვინაიდან ლეილა მამედოვას შვილი, ტამერლან გასანოვი მიემგზავრება გერმანიაში. იგი არის შ.პ.ს. „დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი“-ს მერვე კლასის მოსწავლე და მიმდინარე წლის 9 მაისიდან 6 ივნისამდე მიემგზავრება გერმანიაში ენისა და კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე მარინა იაკობაშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს აუქციონის ჩატარებას, რომელიც გაუქმდა 2013 წელს, რომელში მონაწილეობისათვის მას ქონდა გადახდილი ბე და ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე მან აღნიშნულ მიწაზე განახორციელა რიგი სამუშაოები, რის გამოც აუქციონის ჩაშლის გამო მას მიადგა გარკვეული ზიანი. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 თებერვლის N03/1116 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 26 თებერვლის N530-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ამხანაგობა „მზე“-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნიებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნარიმანოვის ქუჩა N1“ -ს განცხადება, რომელიც ითხოვს ამხანაგობას მიკუთვნიებული ნარიმანოვის ქუჩა N1-ზე მიმაგრებული მიწის ფართისა და საზღვრების დადგენას წარმოდგენილი ნახაზის მიხედვით. აღინიშნა, რომ საკითხზე არაა შემოსული გამგებლის და გამგეობის შესაბამისი სამსახურის წერილი. თუ შესაბამისი დოკუმენტაცია შემოვა საკრებულოს სხდომის დაწყებამდე, საკითხი განხილული იქნება საკრებულოს სხდომაზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის N3“-ს თავმჯდომარის განცხადება, რომელიც ითხოვს ამხანაგობას მიკუთვნიებული რუსთაველის ქუჩა N3-ზე მიმაგრებული მიწის ფართისა და საზღვრების დადგენას წარმოდგენილი ნახაზის მიხედვით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისიის აქტი მოქალაქეების გიორგი ქუთათელაძისა და მარინე ლიპარტელიანის განცხადების შესახებ, რომლებიც ითხოვენ მიწის გადასახადისაგან განთავისუფლებას. იმის გათვალისწინებით, რომ კომისიას არა აქვს დასაბუთებული და მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბიუროს წევრებმა მიზანშეუწონლად ჩათვალეს გიორგი ქუთათელაძის და მარინე ლიპარტელიანის საკითხის დაკმაყოფილება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება უარი ეთქვას გიორგი ქუთათელაძესა და მარინე ლიპარტელიანს მიწის გადასახადისაგან განთავისუფლებაზე, რის გამოც საკითხი ამოღებული იქნა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ითხოვს კოორდინაციის განყოფილებას, სამსახურებრივი უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებისათვის, მიემაროს ომარ ლუხუტაშვილის ავტომანქანა. ბიუროს წევრებმა, გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის კოორდინაციის განყოფილების ფუნქციონალური დატვირთვის გათვალისწინებით, მიზანშეუწონლად მიიჩნიეს ავტომანქანის მიმაგრება, რის გამოც საკითხი ვერ დაკმაყოფილდა და ამოღებული იქნა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული დოკუმენტაცია კაპანახჩის და კასუმლოს ტერიტორიულ ერთეულებში არსებული კაპანახჩის და აღმამედლოს საბავშვო ბაღებში რიცხული ინვენტარი ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-სათვის გადაცემის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 7 მარტის N627-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მოქალაქეები გიორგი მიშელაშვილი და ლია ხახულაშვილი ითხოვენ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაცია განხორციელდეს შ.პ.ს. „აი-თენ“-ს მიერ შესრულებული ნახაზის შესაბამისად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მოქალაქე ლელა გაბოძე ითხოვს მის საცხოვრებელ ბინას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.04.11.082.01.502, მიენიჭოს მისამართი: წერეთლის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი საიმერლო, თამარ მეფის ქუჩა N1, ბინა N7, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 მარტის N702-03 მოხსენებითი ბარათით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მოქალაქე მარიგ ალიევი ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.23.881, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ომარ ხაიამის ქუჩა N1ბ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

18. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთვრამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 მარტის N703-03 მოხსენებითი ბარათით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მოქალაქე ტუკაზბან პირიევი ითხოვს ისლამ პირიევის საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ნაგებობის არქივში აღრიცხულია მისამართით: ქალაქი მარნეული, გრიშაშვილის ქ (ჟდანოვის ქ. უიარაღოს ქ) N4ა მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, უიარაღოს ქუა N26, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიუროს დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრმა, ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ გააკეთა განცხადება თუ რატომ ხდება რიგი საკითხებისადმი ორმაგი სტანდარტებით მიდგომა. თუ კი შაუმიანის სათემო

განათლების ცენტრი შეიძლება დაფინანსდეს, რატომ არ შეიძლებოდა დაფინანსებულიყო კავშირი „გზანათელი“-ს პროექტი, რომელიც ითხოვდა შაუმიანის დასახლებაში მცხოვრები დევნილებისათვის სოციალური პროექტის განხორციელებას. კერძოდ ავეჯის საამქროს გახსნას, სადაც ხელობის შესწავლასთან ერთად დასაქმდებოდა 30-მდე დევნილი. ასევე შეეხო საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის საკითხსაც, რომელსაც დაეწვა სახლი და დარჩა უსახლკაროდ. საკრებულოს შესაბამისი განკარგულება, მისთვის 6 ათასი ლარის სამშენებლო მასალის შეძენის თაობაზე, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ორი თვის მანძილზე არანაირი რეაგირება არ მომხდარა. ასევე აღნიშნა, რომ ფრაქციებსა და კომისიება არანაირი პირობები არ აქვთ უფლებამოსილების განსახორციელებლად. ოთახებში გასაკეთებელია რემონტი, არ დგას ელემენტარული ავეჯი, არასაკმარისია კომპიუტერები და პრინტერები, ხოლო მიწის ლეგალიზაციის კომისიას, გარდა ზემოქამოთვლილისა, აუცილებელია გამოეყოს ავტომანქანა, რათა კომისიამ ადგილებზე შეძლოს მისვლა და საკითხის შესწავლა. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრმა, ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ ძალიან ბევრი ადგილობრივი კადრი, რომელმაც წარმატებით გაიარა მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსის ეტაპები, დარჩნენ დაუსაქმებელი, მაშინ როდესაც იგივე დონის სპეციალისტები დაინიშნენ სხვადასხვა რაიონებიდან. აქ საუბარი არაა სპეციფიკურ სპეციალისტებზე, არამედ რიგით თანამშრომლებზე, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. მანვე აღნიშნა, რომ თუ აღნიშნული საკითხი უმოკლეს დროში არ იქნა დადებითად გადაწყვეტილი, იგი დაიწყებს შიმშილობას გამგებლის მისაღებში. ასევე იგი შეეხო მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილ სამი ერთეული ავტობუსის საკითხსაც. რატომ იქნა შეძენილი ავტობუსები, თუ არ იყო მისი შეძენის აუცილებლობა. ავტობუსები მეოთხე თვეა დგას მუნიციპალიტეტის ეზოში, მაშინ როდესაც შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“ ყოველწლიურად ითხოვდა ავტოპარკის განახლებას. რატომ არ ხდება მისი გადაცემა ავტოპარკისათვის და რატომ იკარგება მისი ფუნქციონირების შემთხვევაში, მათგან შემოსული ბიუჯეტის თანხები. ამირან გიორგაძემ და რიჩარდ გიგანმა ითხოვეს აღმასრულებელმა ორგანომ პირველ რიგში იზრუნოს ადგილობრივი კადრების დასაქმებაზე და უმოკლეს დროში მოაწესრიგოს ბიუროზე გამოთქმული შენიშვნები, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ. რაფიკ მუსაევმა ისაუბრა იმ შეუსრულებელ განცხადებებზე, რომლებიც თვეების განმავლობაში პასუხგაუცემელია იმის გამო, რომ არ მოხდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის NN 15, 16 და N17 განკარგულებების აღსრულება. თუმცა რიგ მოქალაქეებზე გაცემული იყო ზეპირი თანხმობა, რომლის შეუსრულებლობამაც დაარღვია „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს საქართველოს კანონი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. მანვე ისაუბრა იმ მოქალაქეების სოციალურ მდგომარეობაზეც, რომლებსაც არა აქვთ სოციალური სარეიტინგო ქულები, თუმცა არც იმის საშუალება გააჩნიათ გადაიხადონ თანხა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებისათვის, მათ შორის სიცოცხლისთვის შეუთავსებელი მდგომარეობის შემთხვევაშიც, რაც დღის წესრიგში კვლავ აყენებს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური კომისიისათვის უფლებამოსილების მინიჭებას, რათა მოხდეს სოციალური პროგრამის კიდევ უფრო დახვეწა და დამტკიცება. აღნიშნულმა პრობლემამ პირველ რიგში დააზარალა მარნეულის მოსახლეობა, ვინაიდან არსებული სოციალური პროგრამა მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილზე ვრცელდება და მოსახლეობის უმრავლესობა დახმარების გარეშე რჩება. გამოითქვა აზრი, რომ სოციალურ საკითხთა კომისიამ მომდევნო სხდომამდე კიდევ უფრო დახვეწოს სოციალური დახმარების პროგრამის პროექტი და დასამტკიცებლად წარმოადგინოს საკრებულოს სხდომაზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მეშვიდე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი